ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 109

"6" აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ლილოს დასახლება (აეროპორტი) №107 სკოლის მიმდებარედ საფეხბურთო მოედნის მიერ დაკავებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.19.27.008.008.) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - სპორტული ცენტრი ლილოსთვის (ს/კ: 406138291) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ე" ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4, მე-5 პუნქტების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 1 აპრილის №13.23.367 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების, (მდებარე ქ. თბილისი, ლილოს დასახლება (აეროპოტრი) №107 სკოლის მიმდებარედ, საფეხბურთო მოედნის მიერ დაკავებული 7345 კვმ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1) საერთო ფართით 1052,17 კვმ.(საკადასტრო კოდი: 01.19.27.008.008.), პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - სპორტული ცენტრი ლილოსთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი